ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 282
ხუთშაბათი, 30 დეკემბერი 1893

1877—1893

# ივერია

№ 282
ხუთშაბათი, 30 დეკემბერი 1893

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . : | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად:
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**დარია დიმიტრის ასული გძელიშვილისა** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას ქმრისა თვისისა **იოსებ სვიმონის ძის გძელიშვილისას**, შემახის მომრიგებელ მოსამართლისას, რომლის გვამს მოასვენებენ ტფილისს 31 ამა დეკემბერს და სთხოვს მობრძანდნენ დიდუბის ეკკლესიაში, სადაც გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი. (2—1)

**ქვრივი აზნაურის სვიმონ გოდოგრელიძისა და შვილნი მისნი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა, პირველი ქმრისა და მეორენი მამისა **პრაპორშჩიკის სვიმონ გლახუას ძის გოდოგრელიძისა**—გარდაცვალებას, სთხოვენ მობრძანებას დასასაფლავებად 30 დეკემბერს სოფელს საჩხერეს.

„**ივერია**“
გამოვა 1894 წელსაც
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„**ივერიის**“ **რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების [illegible]“,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

**მიიღება ხელის მოწერა**
1894 წლისათვის
ყოველ თვიურ ქართულ ჟურნალ
„**მოამბე**“-ზედ

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| ფასი გაგზავნით კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში . . . . . . . . . . . . | 10 მან. | 6 მ. | 4 მ. |
| საზღვარ გარეთ . . . . . . . . : . | 13 მან. | 7 მ. | 5 მ. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე 4 მან., 1 მაისამდე 3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „**Моамбе**“.

რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია — გამომცემელი ნიკოლოზ ღოღობერიძე

Открыта подписка на 1894 г. на газету
„ТИФЛИССКІЙ ЛИСТОКЪ“

Газета будетъ выходить при прежнемъ составѣ редакціи, ежедневно, исключая дней послѣпраздничныхъ, въ форматѣ средняго газетнаго листа въ пять колоннъ.

Программа газеты: телеграммы, мѣстная хроника, корреспонденціи, иностранная хроника, фельетоны, разсказы и повѣсти, отчеты думскихъ, ученыхъ и другихъ общественныхъ засѣданій судебная хроника и торговая хроника.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

| Въ Тифлисѣ: | | для иногородныхъ: | |
|---|---|---|---|
| Съ доставкой на городъ. | 5 р. — к. | Съ пересылкой на годъ | 6 р. — к. |
| „ „ „ полгода. | 3 „ — „ | „ „ „ полгода | 3 „ 50 „ |
| „ „ „ 3 мѣс. | 1 „ 75 „ | „ „ „ 3 мѣс. | 2 „ — „ |
| „ „ „ 1 мѣс. | — „ 75 „ | | |

Подписка принимается исключительно въ конторѣ «Тифлисскаго Листка» (Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. Ротинова, № 3).

За подписку въ другихъ мѣстахъ контора редакціи не принимаетъ на себя никакой отвѣтственности. (3—2)

ქართული თეატრი
პარასკევს, 21 დეკემბერს,
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ
ვლ. ალექსი მესხიშვილის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება.

I
**ქალის ტანჯვა**
ანუ
**ორ ცეცხლ შუა**
დრამ. 3 მოქ. თარ. ივ. მაჩაბლის მიერ

II
**ქირით მონასტერი**
ფარსი 3 მოქმ. გადმოკ. თ. სახოკიას მიერ

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, მაქსიმიძისა, მძანროვისა და სხვ. ბბ. აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, და სხვ.

წარმოდგენა გათავდება სწორედ 11 საათზედ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი $7^1/_2$ საათზედ

რადგან დეკემბრის 19-ს დანიშნული საზოგადო კრება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა არ შესდგა, საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ ხსენებული საზოგადო კრება, თანახმად საზოგადოების წესდების 15 §-ისა, ხელმეორედ დანიშნულია 9 იანვარს, 1894 წლისას, დილის 10 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. (6—1)

კავკავის ქართულ სასწავლებელში განთავისუფლდა უმცროსის მასწავლებლის (ქალის) ადგილი. მსურველთ უნდა მიჰმართონ თხოვნით „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობას. უმცროსს მასწავლებელს ეძლევა წლიური ჯამაგირი 300 მ., სახლი (ორი ოთახი), მოსამსახურე, შეშა, წყალი და სანათი. (3—3)

## ახალი ამბავი

*** როგორც ვუწყით, კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი ს. ა. შერემეტევი ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება. გაზ. „Новое Время“ სწერს, რომ იგი მიწოდებულია, რათა მისის თანადასწრებით გაირჩეს ზოგიერთნი საგანნი, კავკასიის შესახებ. სხვათა შორის განსახილველიაო შემდეგი საგნები: კავკასიაში უფრო წესიერად შემოღება გარდასახადისა; განხილვა შავის ზღვის სანაპიროების დასასახლებელ პროექტისა; არყის გამოხდის ახალის კანონ-დებულების გამოცემისა; შედგენა განსაკუთრებულ სასაზღვრო დარაჯისა კავკასიის საზღვრის დასაცავად კონტრაბანდისტებისაგან; შემოღება მარტივ საქალაქო თვით-მართველობისა კავკასიის ზოგიერთს ქალაქში; რკინის გზის გაყვანა კავკასიის მთავარ უღელტეხილზედ და გაკეთება ახალის მისავალ ადგილებისა, ამ ქვეყანაში უკვე არსებულ რკინის გზებისათვის.

*** უმაღლესად დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს 1893 წლის 22 ნოემბრის აზრით დადგენილია, რომ კავკასიაში სამხედრო ბეგარის გადასახდელად, ჯარის-კაცთა გაყვანის ნაცვლად, ფულად გარდასახადი დაწესდეს უკვე არსებულის საფუძვლით.

*** 27 დეკემბერს, საღამოს 7 საათზედ ტფილისის ახლოს თხრილში იპოვნეს მკვდარი ილია ჯიკაშვილი 26 წლისა, საცოდავი თურმე სიმაღლიდგან ხრამში ჩავარდნილიყო.

*** შედგენილია პროექტი, რომლის ძალითაც თვით სახელმწიფომ უნდა იკისროს სიცოცხლის დაზღვე-

*** ხაშური კონდუქტორი კეთილაძე გახდა ავად შავის სახადით და მეორე დღესვე გარდაიცვალა. ამ გარემოებას რკინის გზის მკურნალთ ყურადღება მიაქციეს და ყოველი ღონის ძიება მიიღეს, რათა ეს გადამდები სენი არ გავრცელდეს.

## დამაკვირდი

ხან-მოკლეა მეტად ჩვენი სიხარული; ამიტომაც სიხარულს ყოველთვის წინ იმედი მიუძღვის და უკან ხსოვნა მისდევს.

ჟან-პოლი

**

ფულით გატენილი ტომარა უფრო ადვილი სატარებელია, ვიდრე გლახაკის ცარიელი აბგა.

საფირის ლექსიკონი

**

სიმუნჯე ის ხელოვნებაა, რომელიც ბეჯითობას ბიწიერადა ჰქმნის, სიმდიდრეს სიღარიბედ, მნიშვნელობასა და უფლებას სამარცხვინოდ, სიცოცხლეს შესაბრალისად და მემკვიდრეებს, მათდა უნებურად, სიკეთის დაუნახავად და მომდურავად.

იუნგი

## კორესპონდენცია

**კახეთი.** „ივერიის“ მკითხველმა უკვე იცის, რომ კახეთის რამდენისამე სოფლის ნაყმევმა გლეხობამ, რომელმაც, კარგა ხანია, რაც ნაბატონებთაგან მამულები გამოისყიდა, მთავრობას მიჰმართა, ჩვენზე დარჩენილ ფულს ვერ შემოვიტანთ და აღარც შესყიდული მამული-ღა გვინდაო. მეტად სამწუხარო ამბავია ეს ამბავი. საჭიროა ვიცოდეთ, რამ აიძულა გლეხი, რომ თავის ერთად-ერთ ცხოვრების სახსარს მამულს იმეტებს და გულ-გამწარებული გაიძახის, არც ისეთი შეძენილი მამული მინდა და არც ასეთი ვალიო... სოფ. ნაფარეულში ნაყმევ გლეხებს საერთოდ წელს, წლიური გარდასახადი და დარჩენილი წინანდელი ვალი უნდა შეეტანათ ხაზინაში 31,000 მან. რასაკვირველია, ამოდენა ფულს სოფელი ვერ შეიტანდა და სამერმისოდ, თუ არ გაუბევრდება არა დააკლდება-რა. მერე საიდგან შესდგა ამოდენა ვალი, როცა სოფელს ყოველ წლივ სულ რამდენიმე ასი თუმანი უნდა შეჰქონდეს ხაზინაში? მამულის შესყიდვის შემდეგ, თუმცა რამდენიმე კომლი უძეოდ ამოწყვეტილა მამული ან პირვანდელ მეპატრონეს დარჩენია, ან სოფელს, მაინც-კი იმ მამულზედ გაცემულს ფულს ნაყმევ გლეხებზედ ანგარიშობენ და ყოველ წლივ ვალად სთვლიან, როგორც შეუტანელს გადასახადს.

ამას გარდა კახეთის საერთო მოუსავლობის გამო ამ ორის წლის წინად გარდასახადი ორის წლისა ერთმანეთზე [illegible] არა ჰყოფს, მხოლოდ გაუგებრობით ილაჯ-გამოლეული გლეხი გაურბის მამულს. ბევრნი არიან სოფლად ისეთი, რომელთაც ყოველ წლივ თავის საკუთარი ხვედრი შესატანი ფული ხაზინაში შეუტანია, ამის ბარათებიცა აქვთ, მაგრამ ბარათებით გლეხი მოტყუებული გამოდგა. და აი რათა: გლეხს ყოველ წლივ მხოლოდ საკუთარი გარდასახადი შეაქვს ხაზინაში და სრულიადაც არა ჰფიქრობს თავის მეზობლის დარჩენილ ვალის გარდახდის გამო. შეტანილ ფულის ბარათში წლიური შესატანი ფული-კი არ აღუნიშნავთ, არამედ წინა-წლის ვალის შესამსებად ჩაურიცხავთ. ამ გვარად ვერც ძველის წლების ფული ივსებოდა, ყოველ წლიური შესატანიც ზედ ერთოდა და ვალი ერთი ორად უბევრდებოდა სოფელს. დღეს-კი ყოველ წლივ ვალის გადამხდელსაც დ არ-გარდამხდელსაც აუარებელი ვალი წამოედოთ. პირველნი თავის ვალის რაოდენობასა კითხულობენ, რადგან სხვის ვალში წილს არ იდებენ, და სთხოვენ მთავრობას, საკუთარი გარდასახადი აკმარონ! ამ თხოვნის პასუხს ვერსად იღებენ და უნებლიედ განზედ დგებიან. სხვის ვალის გამო თავიანთიც აღარ შეაქვთ. აი ამ გამოურკვეველმა ყოფამ დღეს ის მეტად სამწუხარო შედეგი იქონია, რომ ერთბაშად ყველანი იძახიან, აღარც მამული გვინდა და აღარც შეგვიძლიან უგზო-უკვლოდ ფულის გადახდაო. საჭიროა ადგილობრივ გამოირკვეს საქმე, გულდადებითი საქმის გამორკვევა ნათელს მოჰფენს ამ გარემოებას და დარწმუნებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ბევრ გლეხს მამული შერჩება და იმაზე დარჩენილ ვალსაც სიამოვნებით გადიხდის. მხოლოდ ვიმეორებთ, ნათლად-კი

ირკვეს, რომელ გლეხს რამდენი მიეცა ვალად, დღემდის რა შეუტანია და, რა აქვს კიდევ შესატანი. უამისოდ-კი ბრალიანიც და უბრალოც უცეცხლოთ დაიწვება.

წერილი ისე არ შემიძლიან დავაბოლოვო, რომ ერთი მეტის მეტათ სამწუხარო ამბავიც არ ავღნიშნო. მკითხველს საზოგადოებას მოეხსენება, რომ ჩვენის ქვეყნის, თითქმის ყველა კუთხეში საბერძნეთის სხვა და სხვა მონასტრებს მამულ-დედული აქვთ... სხვაგან არ ვიცით, თუ მონასტრები როგორ სარგებლობენ საქართველოს მეფეებთაგან შეწირულის მამულით, ჩვენ კახეთში-კი, სახელდობ სოფ. გულგულაში, მონასტერი დღემდე თავის გლეხებს მ ხ ო ლ ო დ ვენახის მოსავალის ნათხალს ართმევდა... ამ ნათხალს გარდა გლეხები არც მიწის მოსავალს და არც სხვა გვარ რაიმე გარდასახადს არ იხდიდნენ მონასტრის სასარგებლოდ. დღეს-კი გულგულის სამონასტრო გლეხების ბედი სულ უკუღმა დატრიალდა. მონასტერს, არ ვიცით-კი, რა საბუთით მოუთხოვნია, რომ გლეხებმა სახნავ-სათესის მიწის მოსავლის ნათხალიც უნდა მოგვცენო და, თუ არა, რაც სამინისტრო გლეხებს სახნავ-სათესი მიწები უჭირავთ, იმ მიწებიდამ მონასტერს უნდა ცალკე წილი მიეცესო. როგორ სწარმოებდა ეს საქმე, ჩვენ დარწმუნებით არ ვიცით. მხოლოდ შედეგი-კი გლეხთათვის ამ საქმეს მეტად ხელმომცარავი მოჰყვა: წარსულ ოქტომბერს ადგილობრივ მომრიგებელ შუაკაცთან სოფ. გულგულის სამონასტრო გლეხები იყვნენ დაბარებული თელავში. აქვე იყო მონასტრის წარმომადგენელი არხიმანდრიტი და მთავრობის მიერ დანიშნული მოხელე. გლეხები, თუმცა დიდს უარზე იყვნენ და ერთხმად გაიძახოდნენ, ჩვენ მონასტრისათვის ვენახის მოსავლის ნათხალზე მეტი არავითარი ხარკი არ გვიძლევია და არც მივცემთო, მაგრამ ბოლოს გლეხები დაუთანხმებიათ, რომ თითოეულ კომლს ათი დღიური სახნავად მიწა მიეზომოს და დანარჩენი სახნავი მონასტერს მიეცეს. ეს გარდაწყვეტილება უკვე დამტკიცებულა, სადაც ჯერ არს... გლეხები სახნავ-სათესის ნათხალსაც არ აძლევდნენ მონასტერს და დღეს-კი ამ გარდაწყვეტილებით მთელის სამონასტრო გლეხების სახნავ-სათესი მიწების ორი მესამედი მონასტერსა რჩება...

ი კახელი

---

**გურია.** ყაჩაღ მიქელაიშვილზე აღსრულდა მაცხოვრის სიტყვები: „რომელმან აღიღოს მახვილი, მახვილითავე წარწყმდესო“. როგორც გაგებული აქვთ „ივერიის“ მკითხველებს, ის მოჰკლეს სოფ. აკეთს ლანჩხუთის საბოქაულოში აზ. ვარდენ მგელაძისას. მასთან ერთად მოკლულ იქმნა მდევართაგან ერთი ძმა მასპინძლისა. ხოლო ცხომელიძე, რომელიც ამ ახლო ხანში გაყაჩაღდა და მიქელაიშვილს გაუამხანაგდა, შემდეგ თავის-თავად გამოცხადდა პოლიციაში. ალბად უბელადოდ ველარ გაჰბედა თარეში. როგორც ამ ბოლოს დროს გამოირკვა, მიქელაიშვილი თურმე ხშირი სტუმარი ყოფილა აკეთისა და სანდო, უშიშარი ნავთ-საყუდელი ჰქონია ამ სოფელში. საზოგადოების გამგესა და ხელ-მძღვანელს უნდა სცოდნოდა ეს ამბავი, მაგრამ ის ყოველ შეკითხვაზე, ამას გაიძახოდა: „ჩემს საზოგადოებაში ფირალი ფეხს ვერ დააბიჯებსო“. ეს ფიცი ვიწამეთ, ხოლო ბოლომ, როგორც ჰხედავთ, გაგვაკვირვა. ჩვენში ყველა დარწმუნებულია, რომ ვერც ერთ სოფელში ფირალი ვერ გაიჭაჭანებს თუ მამასახლისთან განდობილი არ არის. მიქელაიშვილის მოკვლა-კი ისე მოხერხდა, რომ, არა თუ მამასახლისს არაფერი შეუტყვია, არამედ ბოქაულიც უცაბედად შეხვდა იმ ამბავს, რომ ბათუმიდამ მდევარნი მოდიან მიქელაიშვილის შესაპყრობადაო. რომ ასე არა, შეიძლებოდა მიქელაიშვილი დღესაც უვნებლად ყოფილიყო... ასე თუ ისე, მიქელაიშვილმა თქვენი ჭირი წაიღო და გვეგონა მოვისვენებდით, მაგრამ არა, მოსვენება თურმე არ გვიწერია. არ გასულა ერთი კვირაც მიქელაიშვილის სიკვდილს შემდეგ, რომ ისეთი ავაზაკობა მოხდა, რომელიც თვით მიქელაიშვილს, ვგონებ, შეჰზარავდა და შეეზიზღებოდა. 23 ამ თვეს ღამით სოფ. ნიგოითს დედათა მონასტერს თავს დასხმიან ღამის რაინდები და სრულიად აუკლიათ იქაურობა: გაუძარცვავთ მონაზნები, ეს ბუნებით სუსტნი არსებანი და მერმე კიდევ მშვიდობისა და სათნოების გზაზე დამდგარნი ადამიანნი; დაუჭრიათ რამდენსამე ალაგას ხანჯლით მოხუცებული მღვდელი წეროძე, რომლის გაპენტილ ბამბასავით თეთრი თმა და წვერი თვით უსაშინელესის მხეცის გულშიაც აღძრავდა მორიდებასა და კრძალვას. ამ თავზე ხელაღებულ ვაჟბატონებს არ დაუნდვიათ არც ეკკლესია, გაუტეხიათ იმისი კარები და ზოგი ძვირფასი სამკაული გაუტაცნიათ. დღეს მთელი გურიაა და ეს ამბავი, რადგანაც ბევრის უბედურების მოწმენი ვყოფილვართ, ხოლო ასეთის საშინელის ავაზაკობის მომსწრენი თუ გავხდებოდით, აღარ გვეგონა. ლანჩხუთის საბოქაულომ მაინც მოსალოდნელს გადააჭარბა ყოველ-გვარის ავ-კაცობით. ამბობენ, მღვდელი წეროძე ისე მძიმედ არის დაჭრილი, რომ ვერც-კი გადარჩებაო.. გამოძიებამ ამ საზიზღარ ავაზაკობაში გუმანი მიიტანა ერთს ქობულეთელზე. ამას გარდა სამი სხვაც არის დაპატიმრებული და ვნახოთ, რას იზამს გამოძიება. გამოძიებამ შეიძლება დამნაშავენი აღმოაჩინოს, შეიძლება სასამართლომაც დამნაშავეთ შესაფერი სასჯელი მიუსაჯოს, მაგრამ ამით დაკმაყოფილებული მაინც არ იქნება ადამიანის ის პატიოსანი გრძნობა, რომელიც ხალხისთვის ისეთს ზრუნვასა და პატრონობას თხოულობს, რომ ავაზაკობა, სხვის ქონებისა და სიცოცხლისაკენ ხელის წატანება თავისთავად საზიზღარი და სათაკილო იყოს თითოეულის მკვიდრისათვის. ეს მაშინ იქნება, როცა თითოეული ჩვენგანი შეიგნებს და მიხვდება, თუ რად ატარებს ღვთის ხატებასა და მსგავსებას. ხოლო ეს შეგნება მოაქვს განათლებასა და განვითარებას, და სადაც ეს ნაკლებად არის იქ, რასაკვირველია, ავაზაკობას აქვს დათმობილი ასპარეზი.

ლ. წულაძე

---

## წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით მეც სხვათა შორის ჩემის მხრივ განუცხადო თანაგრძნობა მაგ ფრიად კეთილს საქმეს და ამისთანავე გადმოგცეთ მცირედი წვლილი სამი მანეთი იმ სასიამოვნო საგნის სასარგებლოდ, რომელიც ამ ორიოდე დღის წინად ამოვიკითხე თქვენის გაზეთ „ივერიის“ მე-279 №-ში. ფული გარდაეცით „დედათა სასწავლებლის დასაარსებლად შემდგარს კომიტეტს“. წავიკითხე ბ-ნ ფარნაოზის მეთაური წერილი, რომელშიაც ავტორი სხვათა შორის გვირჩევს და გვავალებს ყველა ჩვენთაგანს, საჭიროა ვიყოლიოთ ამისთანა საქმეებში დასახმარებლად დაბად და ქალაქად კომიტეტებო, რომლებსაც დავალებული უნდა ჰქონდეს ხელის მოწერა გაჰმართონ ხოლმე ურთი-ერთ შორის და შეძლებისამებრ შეჰკრიფონ ფულიო. თითო მაურიც რომ მოჰკრიფონ მაინც იმდენი შეიკრიბება, რომ დედათა სასწავლებელსაც ეყოფა და ბევრი სხვა საკეთილო აზრიც განხორციელდებაო.

სრულიად ვეთანხმები პატივცემულ ბ-ნ ფარნაოზის აზრს, რადგანაც არა ერთის მაგალითებით ვიცით, რომ ასეთის კომიტეტის მეცადინეობით და შემწეობით ბევრად ძნელი საქმე ადვილად შესაძლებელი გამხდარა. აქამდ საც რომ მაგ ღონისძიებისათვის მიგვემართნა, ბევრი ჩვენი საწადელი და სურვილი განხორციელებული იქნებოდა და ნაყოფიც-კი ექნებოდა გამოღებული. ტყუილია, ვითომ ჩვენ, ქართველები, მართლა ისე ღარიბები ვიყვნეთ, იმდენად ხელმოკლენი, თითო აბაზის გამოღება არ შეგვეძლოს, თუ კაცის თავზედ არა, კომლეურად მაინც. ვინ ამბობს, შეიძლება იყვნენ ჩვენ შორის ისეთნი, რომელნიც ცალკე სიღარიბით და ცალკე შეუგნებლობით დაიშურებენ ერთს აბაზს ჩვენთა დედათა, მარად ნეტართა ქართველურად აღსაზრდელად, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ისეთნიც გამოჩნდებიან, რომელნიც ამ დანაკლისს შეავსებენ და იმდენს გულ-მხურვალებას გამოიჩენენ, რომ ერთი-ათად შემოიტანენ ამ მცირედთაგან დაკლებულს ფულს. სასურველია მხოლოდ, რომ ამ საქმისათვის გულ-შემატკივარმა და სანდო ხალხმა ითაოს ფულის შეკრება.

ის-კი აშკარაა, რომ სასურველია დედათა განათლების საქმეს ბევრი გამოუჩნდეს თანამგრძნობელი და ჩქარაც შეგროვდეს საჭირო ქალების სასწავლებლისათვის საჭირო თანხა. სირცხვილია სწორედ მოგახსენოთ, რომ მთელს საქართველოს ერთი რიგიანი ქალების სასწავლებელიც არა ჰქონდეს, ისეთი სასწავლებელი, საიდგანაც წელიწადში ოცი და ოც და-ათი ქალი მაინც გამოდიოდეს სწავლა-დამთავრებული, ჩვენის სურვილისამებრ აღზრდილი, განვითარებული, ჩვენთა ოჯახთათვის გამოსადეგი და ქართველის ჭეშმარიტ მეუღლეობის შემძლებელი.

ბაკურციხელი

---

## კავკასიის სალამო პეტერბურგში

წრეულსაც გაჰმართეს პეტერბურგში მოსწავლე ქართველმა სტუდენტებმა ჩვეულებრივი კავკასიის სალამო. ეს სალამო გამართულ იქმნა 19 დეკემბერს და ჩვეულებრივის მხიარულებით ჩაიარა. აქამდე ქართველი სტუდენტები სალამოს ვმართავდით ყოველთვის ქანანოვის დარბაზში, მაგრამ რადგან ეს დარბაზი მცირე იყო და ხშირად ხალხს ვერ იტევდა ხოლმე, ამიტომ „თავად-აზნაურთა სობრანიაში“ გავმართეთ. ამ სალამოს შემოსავალი, როგორც ყოველთვის, დანიშნული იყო ხელ-მოკლე და ღარიბ ქართველ სტუდენტთა სასარგებლოდ.

ჩვენი მოლოდინი თუმცა სრულად არ გამართლდა, მაგრამ მაინც საკმაოდ მოიყარა საზოგადოებამ სალამოზედ თავი. „სობრანიის“ დარბაზი საუცხოოდ გვქონდა მოწყობილი ხალებითა და ნოხებით. კავკასიურს გემოვნებაზედ მორთულსა და მოწყობილს ფარდულებში ქალები ყვავილებსა და შამპანურსა ჰყიდდნენ.

კონცერტის მხრივ ვერ ვიტყვით, რომ სალამოს უნაკლულოდ ჩაევლოს. ამას ჯერ საიმპერატორო თეატრების დირექციის უკანასკნელმა განკარგულებამ შეუშალა ხელი. ამ განკარგულებით არტისტებს აღკრძალული აქვთ საქველ-მოქმედო სალამოებსა და წარმოდგენებში მონაწილეობის მიღება. წინა წლებში ეს არტისტები დიდს საზოგადოებას [illegible] დავდნენ, მაგრამ ეხლა სულ არ იყვნენ სალამოზედ, ან თუ იყვნენ, მონაწილეობა არ მიუღიათ. წრეულსაც ბევრი დაგვპირდა მონაწილეობის მიღებას, მაგრამ არ გამოცხადდნენ დანიშნულს დროზედ.

კონცერტში რამდენიმე ქალმა და კაცმა მიიღო მონაწილეობა. ქ-ნებმა კაზაკოვსკისამ და ბაკმანსონისამ მშვენივრადა სთქვეს თავისი საგალობელი და აგრეთვე სხვებმაც. უფრო დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ქართულს ხოროს, ბ-ნ ბალანჩივაძეს ლოტბარობით მომღერალს და ქართულს საეროვნო ტანსაცმელში გა-

---

# ფელეტონი

**ორიოდე სიტყვა ქართული სალიტერატურო ფონდის დაარსების გამო.**

ამ დღეებში წავიკითხეთ მეთაური წერილი ქალბატონის ეკ. გაბაშვილისა, რომელიც შეეხება ჩვენს მწერლობაში არა ერთხელ ჩამოვარდნილს ლაპარაკს სალიტერატურო ფონდის დაარსების გამო. ეს საგანი ისეთი მრავალ-მნიშვნელოვანია, რომ მეტი არ იქნება რიგიანად გამოირკვეს, საფუძვლიანად აიხსნას და ამით თითოეულმა ქართველმა გაითვალისწინოს ის დიდი სარგებლობა, რომელიც შეუძლიან მისცეს ჩვენს ნორჩს და სუსტს მწერლობას სალიტერატურო ფონდმა.

ყოველი შეგნებული ქართველი ნათლად ჰგრძნობს, როგორს გაჭირვებაშია ჩვენის მწერლობის საქმე. თუ არ ვეცადეთ განვითარებას ჩვენის კულტურისას, ჩვენზედ ახდება ის, რასაც შოთა ბძანებს: „უცებნი (უმეცრები) მოსრნეს მცოდნეთა ცოდნამან, ხელოვნებამან“. დიაღ, შეუბრალებელის ისტორიულის კანონის ძალით ჩვენს თავზედ ხდება ის, რაც მომხდარა სხვაგან ჩვენისთანა ბეჩავთა ქვეყანაში!

მაგრამ შიში და ძრწოლა მაინც არ გვმართებს. ცხოვრება ბრძოლაა. უნდა ჩვენც გაუმკლავდეთ იმ ქარტეხილსა, რომელსაც სურს მოსპოს ჩვენი არსება დედამიწის ზურგიდგან. კვლავ გავიხსენოთ შოთას სიტყვები: „სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა“, გავიხსენოთ და გავმხნევდეთ, რომ ეგებ „კეთილმა ბოროტი სძლიოს“...

ჩვენის ერის ერთად ერთი მტკიცე ბურჯი, მისი საიმედო დროშა, სალარო მისის გონებრივის ნაწარმოებისა, როგორც ბრძანებდა ზემოხსენებულ წერილში ქალბ. ეკ. გაბაშვილისა, მწერლობაა. ამიტომ საჭიროა ხელი შევუწყოთ მის განვითარებას შეძლებისა და გვარად. ჩვენდა სასიხარულოდ ქართველთა შორის თანდათან იზრდება სიყვარული ქართულის, მწერლობისა. ქართულს წიგნებს დღეს სიამოვნებით კითხულობს უფროს ერთი ქართველებისა სოფლად და ქალაქად,—მდიდარნი და ღარიბნი, ქალები და კაცები. იმათაც-კი მიჰყვეს ხელი ქართულ წიგნების კითხვას, რომელთ გამოქართველებას ვერავინ მოიფიქრებდა,—გადაგვარების გზაზედ დამდგარნი ქართულის წიგნების მეოხებით გამოფხიზლდნენ და იმათშიაც გაიღვიძა ქართველურმა გრძნობამ, დროთა ბრუნვის მეოხებით დიაღ, მიძინებულმა.

ჩვენი ახალ-გაზდობაც ხომ დიდის სიამოვნებით და გატაცებით ეტანება ქართულ წიგნების კითხვას. ქართველი ერი დიდის მოწიწებით და პატივის-ცემით ეპყრობა თავის საყვარელ მწერლობას, და, თუ მათ სიცოცხლეში ვერა სცემს შესაფერს პატივს, მათის სიკვდილის შემდეგ მაინც თავი მოსწონს იმათის სახელითა, გულდასმით კითხულობს მათს ნაწერებს, უგებს ძეგლს და სხვა... მწერლობის ასპარეზზედ მოღვაწეობის სურვილი ბევრს ახალგაზდას ძლიერ მალე აღებინებს ხელში კალამს,—ბევრს სურს გახდეს წმიდა აზრების და მაღალ გრძნობათა მქადაგებელი ხალხში. სასწავლებელშივე ბევრს ახალგაზრდას გამოუჩენია ნიჭი მწერლობისა, მაგრამ ცხოვრებაში გამოსვლისათანავე კალამი ძირს დაუგდია და თავის ნიჭი კარიერის ძებნაში დაუხარჯნია. ერთის მხრით ასეთები არც-კი არიან გასამტყუნარნი: ჩვენ არა გვაქვს ისეთი რამ დაწესებულება, რომელმაც თვისს ფრთეთა ქვეშ მიიღოს ნიჭით და ცოდნით შემკული ახალგაზდა, მისცეს სალსარი ცხოვრებისა და ესრედ გახადოს ის სახურად მარტო ოდენ ხელოვნებისა და მწერლობისა. ასეთის დაწესებულების უქონლობას ბევრი ახალგაზდა დაუღუპნია ჩვენში, ბევრი ნიჭიერი ახალგაზდისთვის წმიდა მისწრაფებათა ფრთები შეუკვეცნია... ასეთი დაწესებულება რომ გვქონდეს, მაშინ ყოველი ნიჭიერი ქართველი, რომელიც-კი ჰგრძნობს მოწოდებას მშობლიურს მწერლობის ასპარეზზედ მოღვაწეობისას, აღარ დაერიდებოდა გაჭირვებას, არ შეუშინდებოდა სიღარიბესა და ხელ-მოკლეობას, რადგან იმედი ექმნება, რომ დიდს გაჭირვებაში ნუგეში-რამ მექმნებაო. ჩვენში სალიტერატურო შრომას ჯერ სასყიდელი არა აქვს, სალიტერატურო მოღვაწეობა—ნებაყოფლობით გაწირული მსხვერპლია სამშობლო ლიტერატურის წარმატებისათვის. ჩვენში რომ სამწერლო ასპარეზზედ მოღვაწეს ნივთიერი უზრუნველყოფა ელოდდეს, ორისა და სამის სალიტერატურო მუშაკის ნაცვლად ოცი და ოცდა-ათი გვეყოლებოდა და ამით ძლიერ წინ წაიწევდა ჩვენი დღეს სუსტი მწერლობა... სალიტერატურო ფონდის დაარსება, არა მარტო შეართებს ჩვენს მწერლებს, დაჰბადებს მათ შორის სიყვარულს, ერთ-სულობას და ერთ-

მოწყობილს. დამსწრე საზოგადოება ჩვეულებრივ ალტაცებაში მოდიოდა ხორის მიერ ნაგალობ ქართულ საერო სიმღერებით და იმათის ტანსაცმელით, მაგრამ უფრო დიდად იმოქმედებდა ხორი, რომ ბ-ნ ბალანჩივაძეს ახალი საგალობლები და ჰანგები ბლომად შეემზადებინა და ამითი განესხვავებინა წრევანდელი საღამო წინა წლების საღამოებთან. იგი ამას წინად საქართველოში იყო და დარწმუნებული ვიყავით, ბევრს ახალს საგალობელს მოამზადებდა, მაგრამ ეს რწმუნება არ გაგვიმართლდა. ერთისა და იმავეს მოსმენა-კი, თუნდა წელიწადში ერთხელ, რაც უნდა სასიამოვნო მოსასმენი იყოს, შეიძლება მოსწყინდეს ადამიანს, მეტადრე ისეთს ადამიანს, რომელიც მხოლოდ ჰანგით იტკბობს ყურს და ნამღერებ სიტყვების მნიშვნელობა არ ესმის.

საღამოს როგორცა ვსთქვით, საკმაოდ დაესწრო საზოგადოება. იყვნენ, სხვათა, ჩვეულებრივ საზოგადოების შორის, კნეინანი მუხრან-ბატონისა, ნაკაშიძისა, მეუღლე უგანათლებულესის თავადის ვიტგენშტეინისა, თავადნი ამილახვარნი, მელიქიშვილები, ორბელიანნი, ჭავჭავაძენი, ერისთავნი და რამდენიმე კაციც კავკასიის მთავარ-მართებელის გენერალ-ადიუტანტის ს. ა. შერემეტევის ამალიდგან. სტუდენტობა ხომ, რაღა თქმა უნდა, დიდძალი დაესწრო. საზოგადოებაში შეხვდებოდით ორიოდე ქართულად თავ-დახურულს ქალს, გურულსაც, კაბა-ქულაჯაში გამოწყობილსაც. ფარდულებში ვაჭრობდნენ კნიაჟნა ნაკაშიძისა, საიმპერატორო თეატრების არტისტი-ქა[illegible] პეტიპა, დანი ლ. და სხვანი.

რაღა თქმა უნდა, კონცერტს გახურებული ცეკვა მოჰყვა, რომელმაც დილის ოთხ-ხუთ საათამდე გასტანა. ლეკური ჩვეულებრივად ამშვენებდა ცეკვას, თუმცა მოლეკურენი ცოტანი იყვნენ. ლეკურის თამაშობა დაიწყეს ქ-ნმა მ. მ—ნმა და ერთმა კავკასიელმა ყმაწვილმა კაცმა. იმათი ცეკვა ისე მოეწონა საზოგადოებას, რომ რამდენჯერმე განამეორებინეს კიდეც. ლეკურშივე მიიღო მონაწილეობა ქ-მა პეტიტამ, რომელმაც მართლა რომ საოცარის ხელოვნებით იცეკვა. მართალია, ის ეშხი და თავისუფლება აკლდა, რომელიც კავკასიის ასულთა ჰმატებს ისეთს სიმშვენიერესა, მაგრამ ცეკვითკი ქ-ნმა პეტიპამ ისე მოხდენილად და ნარნარად იცეკვა, რომ საზოგადოებამ სამჯერ განამეორებინა. ლეკურს მოჰყვა მაზურკა.

პეტერბურღელი

## უსინათლოთა სამზრუნველო

უსინათლოთა სამზრუნველოს საბჭოს 21 დეკემბერს თავის ვიცე-პრეზიდენდტის გრაფინია ს. დ. ტატიშჩევის სასახლეში ჰქონდა კრება, რომელზედაც საბჭოს წევრთა თანადასწრებით ახსნეს ბეჭდები ყველა იმ ყულაბებს, რომელიც სხვა-და-სხვა დაწესებულებასა და მაღაზიებში იყო შემოწირულებათა შესაგროვებლად. ყულაბებში აღმოჩნდა—სახელმწიფო ბანკისაში—15 მან., 19 კ., ხაზინისაში—13 მან., 58 კაპ. მთავარ-მართებელის კანცელარიისაში—18—29 კაპ., კბილის ექიმის კამაევის კაბინეტისაში—17 მან., 56 კაპ., ძმ. გულასპიშვილთა მაღაზიისაში 11 მან., 2 კაპ., ფრიდონოვის კანტორისაში—5 მან., 63 კაპ., აკოფოვის მაღაზიისაში—7 მან., 3 კა., იუზბაშევის კონდიტერსკში—8 მან., 81 კაპ., ცატუროვის მაღაზიისაში—1 მან., 32 კაპ., მირიმანოვისაში—75 კაპ., გრუზენბერგის საზღვეველ კანტორაში—7 მან., 14 კაპ., სეგალის მაღაზიაში—12 მან., 43 კაპ., შაქიე[illegible]ში—5 მა. 40 კაპ., ზიმერმანისაში—4 მან. 53 კაპ., დონერ და ლეიტცისაში—14 მან. 92 კაპ., ტოლესაში—3 მან. 26 კაპ., საკომერციო ბანკში—12 მან. 69 კაპ., სარაჯიშვილის არაყის საწყობში 2 1 მ. 97., ვარვაროვის მაღაზიაში—16 მან. 54 კაპ., ფასკის კონდიტერსკში—61., დოქტორ ტარსაიძისაში—83 მან. 75 კაპ., მილილოვის მაღაზიაში—4 მან. 56 კაპ., წოვიანოვების კანტორაში—14 მან., 47 კაპ., ჩარანხჩიანოვისაში—7—16 კაპ., თვალების სამკურნალოში—4 ყულაბში—201 მან. 43 კაპ., კბილის ექიმ ფრანკისაში—7—38—ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში—ორი იყო—8—მან. 9 კაპ., უსინათლოთა სკოლაში 6 მ. 20 კ. მიულმანის მაღაზიაში—1 მ. 13 კ. სულ 514 მან. 33 კაპ.

არ მოუვიდა საბჭოს ყულაბები: ლოტისა და ალიხანოვის კანდიტერსკიდამ, ამირაღოვისა და ბაინდუროვის მაღაზიიდამ და ხიდეკელის სააგენტოდამ.

აცხადებს რა ყოველსავე ამას საყოველთაო საცნობლად, საბჭო თავის სასიამოვნო მოვალეობად სთვლის თვისი გულწრფელი მადლობა გამოუცხადოს დახმარებისათვის, როგორც ყოველ ზემოხსენება დაწესებულებათა და მაღაზიებს, სადაც ყულაბები იყო შემოწირულებათა შესაგროვებლად, ისე იმათაც, რომელთაც ჰქონდათ განსაკუთრებით მინდობილი ეს ყულაბნი დაწესებულებათა და მაღაზიათა მიერ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებითგან)

„Новости“-ში დაბეჭდილია ორი ფელეტონი ბ-ნის პორტუგალოვისა ვეგეტარიანიზმის წინააღმდეგ. ავტორი ამტკიცებს, რომ ამაოა სურვილი ვეგეტარინისტებისა და ფრიად მავნებელიც არის მცენარეულის ჭამა და ხმარება საჭმელადაო. პორტუგალოვი ამბობს, სხვათა შორის: დ—რმა ალანუსმა თავის თავზედ გამოსცადა და დარწმუნდა, რაოდენად მავნებელია ჯანისათვის მცენარეული საჭმელი. ეხლა ის 40 წლისაა, მაგარ სასმელს არა სვამს, მაგრამ, რაკი დიდხანს მარტო მცენარეულს საჭმელსა სჭამდა, დარწმუნდა, რომ არტერიე[illegible] წოდებული არტერიოსკლეროზი. გაბლერმაც ესევე დაამტკიცა: მცენარეულის ჭამის გამო უფრო ბლომად ემატება სისხლს მადნეული მარილნი, ვიდრე ხორცეულის საჭმლის გამო. რაიმონდმა აღმოაჩინა, რომ ერთ მონასტერში, სადაც მცენარეულს საჭმელსა სჭამდნენ, ახალგაზდა ბერებსაცკი ძარღვები გაჰმაგრებოდათ, რაიცა ძალიან იშვიათი მოვლენაა. ტრეილმა აღმოაჩინა, რომ ბომბეისა და კალკუტას მცხოვრებთაც, რომელნიც ბრინჯით იკვებებიან, ასეთი ავადმყოფობა ემართებათ. მცენარეული საჭმელი ასუსტებს ძარღვებს, უდროოდ აბერებს კაცს, აჩენს შარის და სხვ. ყოველ ამის გამო დ—რმა ალანუსმა ისევ შერეული საჭმელი არჩია. ვეგეტარიანიზმის მიმდევარნო, მიბრძანდით გამოცდილ დოქტორთან და ეჩვენეთ, ერთი გაგისინჯოთ საფეთქლები და გინახოთ მაჯა, არტერიები ხომ არ გაგმაგრებიათ. ასეთი საქმე რომ დაგემართოთ, მაშინ ხომ წესიერ აზროვნობასაც ვეღარ მოახერხებთ. მაშ, ჰხედავთ, რა განგიზრახავთ თქვენ რუსეთის ერისათვის. ამით ხომ ერი მინდვრის სასუქად გადაიქცა?! აი რამდენად საშიშია ვეგეტარინიზმი.

გვიკვირსო, ამბობს ამაზე გაზეთი „Новое Время“, რა საჭიროა ასეთი გალაშქრება ვეგეტარინიზმის წინააღმდეგ. ვეგეტარინიზმის საფუძველი არის ზომიერება და ზომიერება სასმელ-საჭმელში ხომ ყოვლად სასარგებლოა. რაიცა შეეხება რუსეთის ერს, იგი ძალა-უნებურად ვეგეტარიანელების მიმდევარია და ყოველ შემთხვევაში პორტუგალოვის ფელეტონებსაც არ წაიკითხავს.

## უცხოეთი

**ინგლისი.** ქვედა პალატაში პატივი სცეს გლადსტონს იმ დღეს, როცა 84 წელი შეუსრულდა. შეალო თუ არა კარი, რომელიც სპიკერის სავარძელს უკან არის, ყველა წევრნი მისის დასისა, ბევრი ლიბერალ-დისიდენტები და ირლანდიის დეპუტატები წამოდგნენ თავ-თავიანთ ადგილებიდამ და დიდისა და ხანგრძლივის ტაშის-კვრით [illegible] გლადსტონს სერთუკის კილოში ყვავილი ჰქონდა გაკეთებული და ჩვეულებრივზედ უფრო ყოჩაღად იყო. კონსერვატორებში ორმასამმა მიიღო მონაწილეობა მანიფესტაციებში, დანარჩენები დამშვიდებით ისხდნენ თავიანთ ადგილებზედ. მაგრამ ამას შემდეგ, როცა კრება დაიწყო, წამოდგა ბალფური და გულითა და სულით მიულოცა გლადსტონს დღეობა, როგორც კერძოდ თავის მხრით, ისე თავის ამხანაგების სახელით. გაათავა თუ არა ბალფურმა მილოცვა ოპოზიციის სკამებზედაც ასტყდა დიდი ტაშის-კვრა; მთავარ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა ბალფურს პატივის ცემისათვის და დაიჭირა თავისი ადგილი.

—

**საფრანგეთი.** პარიჟში დიდს მოდაშია ყოველივე ნაპოლეონის შესახები. ამის გამო პრინც ვიქტორ ნაპოლეონმაც, რომელიც ბონაპარტელების პრეტენდენტია სამეფო ტახტისა, თავი ამოჰყო და ხანგრძლივის სიჩუმის შემდეგ ხმა ამოიღო. მან მიჰმართა მარტენ ლაის, ავტორს პიესისას „Napoleon“ შემდეგის წერილით:

„ბრიუსელი, 21 დეკემბერს 1893 წ. მოწყალეო ხელმწიფევ! თქვენი პიესა ძრიელ მოეწონათ. ვისწრაფი რომ მოგილოცოთ ასეთი გამარჯვება. აღდგენა კვლავ სცენაზე დიდებულის იმპერატორის სურათისა თქვენის მხრივ სწორედ სამამულიშვილო ღვაწლია. ერთად ერთი ნუგეშია ჩემთვის განდევნილის კაცის ყოფაში განახლება და განცხოველება იმისი, რასაც ლეგენდასა და ზღაპარს უწოდებდნენ და რასაც თქვენ ყოვლად სამართლიანად საეროვნო ეპოპეია უწოდეთ. გიძღვნით გულითადს სალამს შორიდამ და მადლობას მოვახსენებ ყველა იმათ, ვინც საფრანგეთის საეროვნო გრძნობას დას-დასობაზე მაღლა აყენებს“.

—

პარიჟის ყველა გაზეთები, როგორც მაგალითად Ciaulois Autorité და სხვა, რომელნიც ყურებს უჭედვენ ქვეყანას, რომ საფრანგეთს მხსნელი ეჭირვება, დიქტატურა დაიხსნისო, ამბობენ, რომ პრინცი ძალიან ხერხიანად მოიქცა და კარგად გამოიყენა დღევანდელი წამიო. ნაპოლეონი ხამდეა ასული და ერის უმრავლესობა ნაკლებ თაყვანს არა სცემს ეხლა მისს სახელს, ვიდრე რესტავრიციის დროს, ვიდრე მაშინ, როცა მისი ნეშტი გადმოასვენეს წმ. ელენეს კუნძულიდამ და ვიდრე 1848 წელს, როცა ნაპოლეონ III-მ დაიხსნა საფრანგეთი სოციალიზმისაგან. თეატრებში ჰმართავენ იმისთანა პიესების წარმოდგენას, à grand spectocle, რომელიც ნაპოლეონის ეპოპეიას შეეხება; გაზეთები ხომ სულ ნაპოლეონზე ლაპარაკობენ, წიგნის მაღაზიები სავსეა ნაპოლეონის შესახებ დაწერილის წიგნებითა. მაინცა და მაინც ყოველ ამ „საშიშ ნიშნების“ გამო რესპუბლიკელები ყურსაც არ იბერტყამენ. „შედარება დამტკიცება არ არისო, ამბობენ რესპუბლიკის მომხრე გაზეთები. ეგ გატაცება ყო-

---

ფილობას, არამედ იქმნება სალარო მათის გონების განვითარებისა და ნივთიერის უზრუნველყოფისა. ბევრს დღეს ქართულად წერა, ქართულ სიტყვიერებისთვის სამსახური რომ უნდოდეს, ვერც-კი მოუხერხებია... უფროსებისა ეშინიან, ქართულს პატრიოტობას დამწამებენო, დამითხოვენო სამსახურიდგან და ცოლშვილი შიმშილით ამომიწყდებაო. ასეთები თუ სწერენ რასმეს თავის ნაწერს ხელს არ მოაწერენ, ან თუ მოაწერენ, ნება-რთვა უნდა ითხოვონ თავის მთავრობისაგან. სამსახურის შემყურებელი, თუ აკეთებს რასმე მწერლობისათვის და აკეთებს „სხვათა შორის“, მაშინ, როდესაც სამსახურით მოქანცულია და დაღლილი თავის მოვალეობის აღსრულებით სამსახურში. რა თქმა უნდა ასეთის მწერლებისაგან ბევრი არა გამოვა-რა... საჭიროა, ჩვენი მწერლები სხვას არ შეჰყურებდნენ ხელში „ჩინოვნიკობიდგან“ არ ელოდნენ სახსარს ცხოვრებისას. საჭიროა ჩვენვე მივსცეთ ჩვენს მწერლობას სახსარი ცხოვრებისა, რომ მოურიდებლად და თამამად გვითხრან სიტყვა მართალი, შეუშინებლად დაგვიხატონ ავი და კარგი ჩვენის წარსულისა და აწინდელის მდგომარეობისა. საჭიროა, რომ სიცოცხლეშივე ჰქონდეთ გაუჭირვებელი ცხოვრება, ლუკმა პური თავის ნიჭის ნამოქმედარის წყალობით, თორემ რას არგებთ მასუკან გაჭირვებით ლონე-მიხდილთ და დაუძლურებულთ ჩვენი გლოვა-ტირილი, ძვირფასი გვირგვინები და მდიდრულად მორთული კუბო-ძეგლნი, პრტყელ-პრტყელი სიტყვები და ლექსები, წარმოთქმული მათს დასაფლავებაზედ?! სიცოცხლეში ჩვენი მწერლები შიმშილით იხოცებიან და, რომ მოგვცილდებიან, მაშინ მათ დამარხვაზე გვირგვინებისთვის ათას მანათობით ვხარჯავთ!! რასაკვირველია, მწერლის პატივისცემა მის დასაფლავების დროს და შემდეგაც ფრიად მოსაწონი საქმეა, მაგრამ ჩვენ დღეს სულ სხვა რამ გვეჭირვება. ჩვენ გვეჭირვება დღეს გამრავლება მწერალთა რიცხვისა, უზრუნველყოფა მათი და მათის სახლობისა. ამიტომ მივეგებეთ ჩვენ სიხარულით სურვილს სალიტერატურო ფონდის დაარსებისას, იმ ფონდისას, რომელმაც უნდა გამოიხსნას ჩვენი მწერლობა შეიწროვებისაგან, ფრთები გააშლევინოს საბედნიეროდ ჩვენის ერისა, იმ ფონდისა, რომელმაც მტკიცედ უნდა შეაკავშიროს დღეს დაბნეული ქართველი მწერლები ერთის აზრით, გამოჰვალოს ერთის გრძნობითა და მიმართულებითა. საშუალებასაც ვიშოვით ამ ფონდის დასაარსებლად. ჯერ აქამდის კარგად ბლომად შეგროვდა ფული რუსთაველის, ბაქრაძის, ყაზბეგის, დავითაშვილის და სხ... ან ძეგლის ასაგებად ან ფონდად. შესანიშნავს მწერლებს, სასიქადულო მოღვაწეებს აგებული აქვთ ძეგლი ერის სულსა და გულში, ძეგლი ხელით უქმნელი, რომელსაც დროთა ბრუნვა ვერ დააქცევს, ჰორაციოსისა არ იყოს. ჩვენის მწერლებისთვის ჯერ ჯერობით ასეთი ძეგლიც კმარა... მათი ხსოვნა ჩვენს გულსა და სულში ღრმად არის ჩასახული, მათი აჩრდილი ჩვენ შორის დაიარება, მათი იდეალები ჩვენის ცხოვრების მცნებად გვაქვს დასახული. მათ სასარგებლოდ მოგროვილი ფული ჯერ სალიტერატურო ფონდის დაარსებას მოვახმაროთ, და შეიძლება—მოსალოდნელიც-კი არის, ჩვენ თუ არა, ჩვენმა შვილი შვილებმა მაინც, აუგონ მათ შესაფერი ძეგლი თავის დროზედ. ყოველთვის კაცი იმას უნდა ზრუნავდეს, რაც მისთვის უფრო საჭიროა, იმას უნდა ფიქრობდეს რაც დღეს შესაძლებელი და მოსახერხებელია, რაც უფრო საჭიროა ამ ჟამად. გარდა ამისა ამავე ფონდის სასარგებლოდ უნდა იმართებოდეს წარმოდგენები და სალიტერატურო საღამოები. შემოვა ნება-ყოფლობით შეწირულებანიც ამავე ფონდის სასარგებლოდ თითოეული შეგნებული ქართველი უეჭველად თავის წილს შეიტანს მის სასარგებლოდ, ჩვენი საადგილ-მამულო ბანკებიც მცირეოდენს შემწეობას აღმოუჩენენ ამ[illegible] ფონდსა... ერთის [illegible] არის გადა[illegible] ჩვენში საო[illegible] ქცეული სალიტერატურო ფონდის დაარსება. აწინდელმა ქართველებმა რომ მეოცე საუკუნეს გადავცეთ ორი დაწესებულება: „ქართველთა ამხანაგობა წიგნების გამოცემისა“ და „სალიტერატურო ფონდი“, ამით დიდს და დაუფასებელს სამსახურს გავუწევთ ჩვენს მომავალს თაობასა. სალიტერატურო ფონდის დაარსების მეთაურად უნდა იყოს ზემოხსენებული „ამხანაგობა“, რომელიც ზნეობრივ ვალდებულია იკისროს ამ ფონდის დაარსების მოვალეობა. უნდა გაჰმართოს მან გაზეთების შემწეობით ხელის მოწერა მიიღოს შეწირულებანი და თავ-თავის დროზედ აცნობოს საზოგადოებას რაოდენობა შემოსულის ფულისა. მაშ ეხლავე საქმეს შევუდგეთ, აქ დაყოვნება არას გვარგებს, იმედი გვაქს, რომ, როგორც აქამდის, ისე ახლაც ტფილისს, საზოგადო საქმეში უკან არ ჩამორჩებიან ჩვენი პროვინციებიც: იქიდგანაც უხვად გამოიგზავნებიან შეწირულებანი სალიტერატურო ფონდის სასარგებლო[illegible].

ი. ფ—ძე

18[illegible] წლისა
21 დეკემბერს.

ველისავე იმათ, რაც კაცს პირველს იმპერიას მოიგონებს, მხოლოდ ამ საუკუნის დასასრულის მოდაა და სხვა არაფერიო.

## გასართობი

ერთი ყმაწვილი ძალიან გვიან იღვიძებდა. მამას უნდოდა ადრე ადგომაზედ წაეხალისებინა როგორმე და უთხრა, რომ აი, შვილო, ერთი კაცი ადრე ადგა და ოქროთი სავსე ქისა იპოვნა.

— კარგი, მაგრამ ის ხომ უფრო ადრე უნდა ამდგარიყო, მამილო, რომელსაც ეგ ქისა დაუკარგავსო, უპასუხა ბავშმა.

**

ორი მაგალითი გულ-მავიწყობისა.

ერთი კაცი სხვაგან მიდიოდა და სამახსოვროდ უბის წიგნში ჩაიწერა: „ცოლი უნდა შევირთო გზაზედაო“.

მეორემ სადამოზედ ცოლი შეირთო, მეორე დილაზედ კარები გაიკეთა და ჩვეულებრივ მთელის დღით სხვაგან აპირებდა წასვლას ბიჭს რომ არ მოეგონებინა, რომ დაკეტილს ოთახში თქვენი მეუღლე გამოემწყვდაო.

**

უფულო ადამიანი იგივეა, რაც ეტლი უთვლებოდ, სახლი უფანჯრებოდ, სკამი უფეხოდ, სუფრა უსაჭმლოდ, ცალიერი ბოთლი, გატეხილი ნემსი, ლაყი კვერცხი, ჩონგური უსიმებოდ, მომღერალი უხმოდ, ბუჩქი უყვავილოდ, ქალიშვილი უარშიყოდ, ვოდევილი უოხუნჯოდ, თერძი უძაფოდ, საათი უისროდ, თბილი ქურქი უსარჩულოდ, ლექსი უაზროდა და უშინაარსოდ, სათუთუნე უთუთუნოდ, ძირ-გავარდნილი წაღები, უძირო ქვევრი, წერილი უადრესოდ, სათვალეები უშუშოდ, მხედარი უცხენოდ, ფარშევანგი უფრთებოდ, არტისტი უსუფლიოროდ, არტისტი-ქალი უფერ-უმარილოდ, გაზეთი უხელის-მომწერლებოდ, ბილიარდი უშარებოდ, ლატარიის ბილეთი უნუმროდ, წიგნი უსათაუროდ, ექიმი უავადმყოფებოდ, შეყვარებული, რომელსაც თავისის სიტრფოს საცხოვრებელი ბინა არ იცის და დასასრულ უფულოდ ადამიანი უნდა იყოს რამე... კი, მაგრამ არაფერია, ჩირადაც არა ჰღირს.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

გერმანელი ლილიენტალი ამ ჟამად გერმანიაში სცდილობს საფრენი ფრთები გამოიგონოს. უკვე გაუკეთებია კიდეც საცდელად: ფრთები ფიცრისაა, ტილო აქვს გადაკრული და ღამურას ფრთებსა ჰგავს. როდესაც გაშლილია, ფრთებს ოცამდე ოთხ-კუთხი ადლი ადგილი უჭირავს და წონით 60 გირვანქამდეა. ლილიენტალს ბერლინს ახლო ცხრა მეტრის სიმაღლის კოშკი აუშენებია, იქიდგან ძირს ეცემა და თავის მიერ გამოგონილის ფრთებით მცირეოდენს მანძილსა ჰფრინავს. წინად მხოლოდ 90 მეტრის მანძილის ფრენა შეეძლო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მიეჩვია თურმე და ეხლა 250 მეტრამდეც ადვილად ჰფრინავს.

## გამოსადეგი ცნობა

როგორ უნდა დალიოს კაცმა რძე? რძის წყალსავით უცბად მოწაფება და დალევა არამც თუ არ კარგა, მავნებელიც-კი არის. სტომაქში ერთბაშად ჩასხმული ხაჭოვდება, სტომაქის წვენს მხოლოდ ოდნავ ხვდება და კუჭი ადვილად ვეღარ ინელებს. რძე ულაპეულუპად უნდა დაილიოს, ხან-დასმით, ასე რომ ერთის ჭიქის რძის დალევას ხუთი წუთი მაინც დასჭირდეს. ასე ნაწილ-ნაწილ სტომაქში ჩაშვებული რძე ნაწილ-ნაწილადვე დახაჭოვდება და ადვილად მოსანელებელი შეიქმნება.

ეს წესი მეტადრე იმათ არ უნდა დაარღვიონ, რომელთაც სუსტი სტომაქი აქვთ და რომლის გამოც ხშირად სტომაქის წესიერი მუშაობა შეეშლებათ ხოლმე და საჭმელი ვეღარ მოუნელებიათ რიგიანად.

## დეპეშა

28 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** გუშინ დაიწყო კეთილშობილთა კლუბში მეხუთე კრება რუსეთის მკურნალთა. თავსმჯდომარეობდა დოქტორი სუტუგინი; საპატიო თავსმჯდომარეა ვარშავის პროფესორი ლუკიანოვი. მოსკოვის პროფესორმა ერისგანმა წარმოსთქვა სიტყვა ვეგეტარიანიზმის წინააღმდეგ. შემდეგი კრება დანიშნულია კიევს 1896 წელს. ქალაქის მმართველობამ სალამო გაუმართა მკურნალთ საბჭოში.

29 დეკემბერი

**პეტერბურგი.** რკინის გზის საქმეთა დეპარტამენტში დანიშნულია სხდომა, რომელმაც უნდა დააწესოს შემცირებული ტარიფი ნავთის გადმოსატანად.

**ბერლინი.** გუშინ ნასადილევს უბინადრო ხალხმა, რომელიც გაჰყვიროდა: «სამუშაო, ანჰურიო» ჩაამტვრია ალექსანდრიის მოედანზე სახლების კარები და ფანჯრები; ხალხი თანდათან მატულობდა; პოლიცია იძულებული შეიქნა ეხმარა იარაღი, ამის შემდეგ ხალხი მიიფანტ-მოიფანტა, ქუჩები დაცალიერდენ და დღეს სრულიად მშვიდობიანობა ჰსუფევს.

**ვენა.** «Politische correspondent»-ის სიტყვით როდესაც პაპმა ინახულა ტირისპოლის ეპისკოპოზი, ამ უკანასკნელმა მოახსენა, რომ ცნობა, ვითომ პოლონელნი კათოლიკენი შევიწროვებულნი იყვნენ, მოგონილია და გაზვიადებული ავსტრო-პოლონელთა გაზეთების მხრივ. კარდინალმა რამპოლმაც იგივე მოახსენა. ამის შემდეგ პაპმა ბრძანა არ გამოაცხადონ უკვე გამზადებულნი ენციკლიკები, პოლონელ კათოლიკეთა შესახებ.

**რიო-ჟანეირო.** პრეზიდენტმა პეიხოტომ ქაღალდი შეიტანა და სამსახურიდგან გადადგომა ითხოვა.

**რომი.** გუშინ რუკოში, აპულიაში, დიდ-ძალი არეულობა მოხდა, რომელიც ბარრიდან მოსულმა ჯარმა შესცვალა წესიერებად.

პეტერბურგის ბირჟა, 28 დეკემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გარიგებისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | $7^1/_2$ | $7,_{52}$ | — „ |
| ტრამოყნის კუპონები | $150^1/_4$ | 151 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . | — „ | — „ | — „ |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — „ | — „ | $248^1/_2$ |
| —მეორისა . . . | | — „ | $224^1/_2$ |
| 4°/₀ მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — „ | — „ | 191 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6°/₀. . . . . | $100^1/_2$ | — „ | — „ |
| 5°/₀. . . . . | 98 | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | $100^1/_2$ | — „ | — „ |
| 5°/₀. . . . . | 98 | — „ | — „ |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების | — „ | , | $97^3/_4$ |


## განცხადებანი

ვაუწყებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1 იანვრიდგან 1894 წ. **ქ. განჯას** ზარაბის ქუჩაზედ გამართული იქმნება **სასტუმრო „Сѣверные Номера“**. სასტუმროს ექმნება 25 კარგი ნომერი, ბუფეტი და ჩინებული საჭმელები; ფასი ზომიერია. თვიურად ფასები ძლიერ დაკლებულია.

კნ. ქეთევან შუბლაძისა.

(2—2)

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 28 იანვარს 1894 წ. დღისით 12 საათ. ქ. ტფილისს, ბანკის დარბაზში, ფრეილინის ქუჩაზედ, საკუთარ სახლებში მოხდება საჯარო ვაჭრობა განუშორებლად, თთ. ია და ზაზა დონიკეს ძეთ ანდრონიკაშვილების უძრავი მამულის, რომელიც მდებარეობს ტფილისის გუბერ. სიღნაღის მაზრაში ს. ზიარში და შეიცავს სახნავს და საძოვარ მიწებს ზომით 518 დ. 330 ოთხ-კუთხ საჟ. თავნი ვალი 9838 მ. 29 კ. შემოსატანი გადასახადი 1099 მ. 48 კ, სულ 10937 მ. 77 კ. ვაჭრობა დაიწყობა 10937 მ. 77 კ. ნედოიმკების და საერო გარდასახადის დამატებით. თავნი ვალის გადახდა შეიძლება ამავე ბანკის გირავნობის ფურცლებით, მანეთზედ მანეთი, დარქმეულ ფასად. შეიძლება ბანკის თანხმობით ვალი გადატანილი იქმნას მსყიდველზედ; დროზედ შემოსატანი გადასახადი და სხვა გარდასახადი ფულად უნდა იყოს შემოტანილი. თუ ვინცობაა ვაჭრობა არშესდგა 28 იანვარს 1894 წ. მეორე და უკანასკნელი ვადა ვაჭრობისა დაინიშნება 11 თებერვალს 1894 წ. თანხმად § 16 ბანკის წესდებისა მსესხებელს ნება აქვს შემოიტანოს გარდასახადი სარგებელი და ჯარიმა დროზედ ვალის გადაუხდელობის გამო და ყოველგვარი ხარჯი, რომელიც ბანკს მოუვა მამულის გაყიდვამდე.

(3—2)

ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, საგინოვის ქვრივის სახლში, № 21, „ივერიის“ რედაქციის გვერდით, პირველ იანვრიდამ იძლევა ქირით პადვალი თავის გამართულობით ანუ გაუმართავად. ფასი ეკითხოს „ივერიის“ რედაქციაში მაქსიმე შარაძეს.

(10—7)

ტფილისის კლუბის გამგეთა საბჭო ამით აუწყებს ბბ-ნთ წევრთ და კანდიდატებს კლუბისას, რომ სამშაბათს, 28 დეკემბერს, ჩვეულებრივ საშინაო სალამოს დაწყებამდე, წარმოდგენილ იქმნება სომხურად საქველ-მოქმედო აზრით ტფილისის ღარიბთა სასარგებლოდ: „ჩემი 50 ოქრო მენანება, ანუ უჩანმაჩანის ქუდი“, ვოდევილი 1 მოქმედებად, თხზ. ალადათოვისა და ქართულად—„ადვოკატთან, ანუ ბედნიერი ცოლ-ქმრობა“, გადმოკეთებული ვ. გუნიას მიერ.

ადგილების ფასი 30 კაპეიკიდგან 1 მან. 10 კაპეიკამდე.

დასაწყისი სალამოს 8 საათზე.

(3—2)

## გამოსადეგ ცნობანი

### პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდ

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულ[ებანი]: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩაქოანი, 9—$10^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვ[ე]ბისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, $10^1/_2$—$11^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბ[ა]ვშვეისა და. დედათა სქესისა.

ი. ф პროტასევიჩი, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ყელის და ცხვირისა.

ექიმი—ქალი ა. მ. ტურბოვიჩი $12^1/_2$—1 საათამდის, სნეულებან[ი]: დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი ბავშვებისა.

სადამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკე[რ]დისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) [და] შარდს.

ა. გურკო, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

მ. ი. ფრანცეუსი, 7—$7^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელ[ის] და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფ[ასი] ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

ვალ. გუნიას მიერ

შედგენილნი და გამოცემულნი

### საქართველოს კალენდარი 1894 წ.

წიგნი შეიცავს 576 გვერდს დიდის ფორმატისასს, დასურათებულ[ს] ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა ნახატებით და კავკასიონის რუკით.

ფასი 50 კაპ.

### უბის წიგნი 1894 წლისათვის

მშვენიერის ყდით, ყარანდაშით და რეზინით.

ფასი 40 კაპ.

### საოჯახო კედლის კალენდარი 1894 წ.

მშვენივრად დასურათებულს კარდონზე, ორ კრასკიდ დასტამბულ[ი] უქმეების და ამინდების აღნიშვნით.

ფასი 20 კაპ.

### სახალხო კალენდარი 1894 წლისათვის

შეიცავს 64 გვერდს მცირე ზომისას, მრავალ საჭირო ცნობებით ორის სურათით

ფასი 5 კაპ.

ზემოდ ხსენებული წიგნები ისყიდება ქ. ტფილისში „წერა-კითხ[ვის] გამავრცელებელ ამხანაგობის“ და ხიდეკელის წიგნის მაღაზიებში. ქუთაის[ში] ძმ. წერეთელთან, ძმ. ჭილაძესთან, ბეჟანეიშვილთან და ხეთერელთან, თუმში კალანდაძესთან, ხონში წერეთელთან, ფოთში ტუღუშთან, სენაკ[ში] და ოზურგეთში თავართქილაძესთან და სხვაგანაც.

უმთავრესი საწყობი გამომცემელთან, ტფილისი, ფრეილინის ქუჩა [...]

„ნევის პარიზები“

დუხები—„ნევის კაპრიზ[ი]“
ოდეკოლონი—„ნევის კაპრიზი“
საპონი—„ნევის კაპრიზი“

„მიუსკ“ დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსკ“ საპ. ოდეკ[ოლონი]

С.-ПЕТЕРБУРГСКАЯ ТЕХНО-ХИМИЧЕСКАЯ ЛАБОРАТОРІЯ ФАБР. МАРКА УТВЕРЖД. ПРАВИТЕЛЬСТ.

სატეხნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.

„კაპრიზ ნევის“ გასაკეთებელს იარაღს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.

Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში

(50—23)


Доз. ценз. Тифлисъ, 29-го Декабря 1893 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე